მიღება-ჩაბარების აქტი №1

13 სექტემბერი 2017 წელი ქ. თბილისი

ქვემო ხელმომწერნი, ერთის მხრივ ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური, სამსახურის უფროსის მოადგილის ა. ტოგონიძის სახით (შემდგომში წოდებული, როგორც „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ შპს „წისქვილი ჯგუფი“ (შემდგომში წოდებული, როგორც „მიმწოდებელი“) მისი დირექტორის ზ. ბაქრაძის სახით, ვადასტურებთ, რომ მიმწოდებელმა მიაწოდა და შემსყიდველმა მიიღო „ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-10 საერთასორისო ფორუმში" მონაწილე უცხოელი და ადგილობრივი სტუმრების ვახშმით გამასპინძლების მომსახურება 120 პერსონაზე რესტორან წისქვილში, ღირებულებით 13583.68 ლარი.

(საფუძველი: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 27 ივნისის №1-1503 ბრძანება).

მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ.

შემსყიდველი:

ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური

განვითარების საქალაქო სამსახური

მის: შარტავას №7

სახელმწიფო ხაზინა

ა/ა GE24NB0330100200165022

ს/კ 204521794

მიმწოდებელი:

შპს „წისქვილი ჯგუფი“

ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ.

ს/კ 202200778

სს "თიბისი ბანკი"

ა/ა GE72TB1100000037467769

ა. ტოგონიძე

ზ. ბაქრაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №1–1503

„27" ივნისი 2017წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის პროგრამების - ,,თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში" - ფარგლებში ,,ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-10 საერთაშორისო ფორუმის" და ,,დასაქმების ფორუმის" ორგანიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „პ" ქვეპუნქტის, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის №30-87 დადგენილების მე-13 და მე-14 მუხლების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში 2017 წლის 13-15 სექტემბერს ,,ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-10 საერთაშორისო ფორუმის" და ,,დასაქმების ფორუმის" ღონისძიებების ორგანიზება.

2. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ დაგეგმილი ღონისძიებისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება 300 000 (სამასი ათასი) ლარის ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროგრამით „თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში" (კოდი: 04 04) გათვალისწინებული ასიგნებიდან.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სფეროს კურატორ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დავით ნარმანია

ქ. თბილისი 0160, „ შარვაშიძის ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200